ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...


# ოდიში

1991
სამშაბათი
13
აგვისტო
№96 (10489)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 19[illegible] წლის 1 მარტიდან


საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც 9 აგვისტოს შეუდგა მუშაობას, რამდენადმე უჩვეულოდ დაიწყო. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის წინადადებით დეპუტატებმა დღის წესრიგში შეიტანეს ორი დამატებითი საკითხი, რომელთაგან ერთი ფაქტობრივად სესიის წინა სხდომაზე დაწყებული საუბრის გაგრძელება იყო. მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლებმაც მოითხოვეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადადგომა. პარლამენტის წევრებმა მხარი დაუჭირეს ბატონ აკაკი ასათიანის იმ აზრს, რომ უწინარესად სწორედ ეს საკითხი უნდა განეხილათ.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ერთხელ კიდევ წაიკითხა დეპუტატთა ჯგუფის განცხადება დაწვრილებით განმარტა ყოველი მისი პუნქტი და ამასთანავე ჩამოაყალიბა თავისი პრინციპული თვალსაზრისი ისეთი საკითხების გარშემო, როგორიც არის რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოსა და მისი სტრუქტურების უფლებები და რწმუნებები რესპუბლიკაში კადრების შერჩევისა და განაწილების სფეროში. მან აღნიშნა, რომ უზენაესი საბჭოს ფუნქციებში არ შედის აღმასრულებელი სტრუქტურების საქმიანობის მეურვეობა და კონტროლი, იგი კანონშემოქმედებითი ორგანოა, რომელიც თავისთავად გულისხმობს განსაკუთრებული რთული და ძნელი მუშაობის შესრულებას. აქედან გამომდინარე, ბატონმა აკაკი ასათიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუკი მას მიუმართავს რაიმე მოწოდებით „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს" ბლოკისაგან დეპუტატებისათვის, ეს იყო მხოლოდ მოწოდება დისციპლინისა და შეკავშირებისათვის. და არა მარტო სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულების თვალსაზრისით, არამედ თავიანთი პოლიტიკური ბლოკის პოზიციათა დაცვის საქმეშიც.

შემდეგ, რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის საფუძველზე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დეპუტატებს გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება მისი გადადგომის გამო ფარული კენჭისყრის მოწყობის საჭიროებისადმი. შევახსენებთ, რომ ასეთი კენჭისყრისათვის საჭიროა დეპუტატთა მეხუთედის მოთხოვნა (ზემოაღნიშნულ განცხადებას კი ხელი მოაწერა მხოლოდ თოთხმეტმა დეპუტატმა). მაგრამ უზენაესი საბჭოს წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარყო ფარული კენჭისყრის მოწყობის წინადადება.

მეორე დამატებითი საკითხის—მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან ურჩია უზენაეს საბჭოს გააერთიანოს უზენაესი საბჭოს ორი მუდმივი კომისია—თავდაცვის, ეროვნული უშიშროების და მართლწესრიგისა და კანონმდებლობის და კანონიერების დაცვის კომისიები. რეკომენდაცია იმით დასაბუთდა, რომ ეს ორი კომისია ერთმანეთს დუბლირებს, ამავე დროს ისინი დაკომპლექტებული უნდა იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

პრეზიდენტის რეკომენდაციას ერთმნიშვნელოვნად არ შეხვდნენ. მას საკმაოდ ცხარედ განიხილავდნენ. საბოლოოდ სესიამ გადაწყვიტა გააერთიანოს ორი კომისია და შექმნას ერთი—უზენაესი საბჭოს მუდმივი იურიდიული კომისია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია თვალსაჩინო იურისტი—სამართალმცოდნე ლევან ალექსიძე.

დღის წესრიგის მომდევნო საკითხი იყო საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტის განხილვა. ამ საკითხზე გამოვიდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გ. აბსანძე. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ საკითხისადმი დეპუტატებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს. ხომ ცნობილია, რომ ქვეყნის ბიუჯეტის მდგომარეობაზეა დამოკიდებული მისი ხვალინდელი დღე. საქართველოს ბიუჯეტი კი სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რადგან ცნობილია რაოდენ დიდი იყო მისი დეფიციტი წლის პირველი ნახევრის ბოლოს—ოთხ მილიარდ მანეთზე მეტი. თუმცა, როგორც მომხსენებელმა თქვა, ამ რამდენიმე კვირაში, რესპუბლიკის მთავრობის ძალისხმევით, დეფიციტი ნახევრად და მეტად შემცირდა.

მიუხედავად ამისა, ამ საკითხს დიდხანს და მწვავედ განიხილავდნენ, გამოთქვამდნენ ძნელი მდგომარეობიდან გამოსვლის სულ სხვადასხვა გზებს. ეკონომისტმა დეპუტატებმა პრაქტიკულად გააანალიზეს ყველა ნიუანსი და მხოლოდ ამის შემდეგ იყო მიღებული შესაბამისი დადგენილება.

—პრივატიზაცია. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას რომ, ეს უცხოური სიტყვა ამჟამად ყველაზე პოპულარულია არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაშიც. და აი საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშეც დადგა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ კანონის მიღების დრო. შევახსენებთ, რომ იგი უკვე განიხილებოდა სესიის წინა სხდომაზე და მიღებულია პირველი წოსმენით. ამჯერად, კანონი საბოლოოდ უნდა დაკანონებულიყო. ამიტომ ასე ზედმიწევნით განიხილავდნენ დეპუტატები ყველა მის დებულებას, ყველა პუნქტს. მაგალითად, დეპუტატმა მაია მაჭავარიანმა, თუმცა მთლიანად მოიწონა პრივატიზაციის იდეა, ამავე დროს აღნიშნა, რომ კანონპროექტში მეტისმეტად დიდი ყურადღება ეთმობა კონტროლსა და ინსპექციას პრივატიზაციის პროცესში.

დეპუტატმა რომან გოცირიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას სპეციალური სტრუქტურები სამინისტროებში, რომლებიც პრაქტიკულად გადაწყვეტენ საწარმოთა პრივატიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ერთი სიტყვით, მსჯელობა და წინადადებანი ბევრი იყო. სწორედ მათი სინთეზის შემდეგ იშვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სახელმწიფოს საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ კანონის 1991 წლის 1 ოქტომბრიდან სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

10 აგვისტოს სესია მუშაობას განაგრძობდა.

პაატა ცინცაძე,
თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

## პრესა და პოლიტიკური ორგანიზაციები

პრესის მთავარი დანიშნულება მის მასობრიობაშია. დემოკრატიულობის გარეშე იგი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს. პრესის დემოკრატიულობა კი ხორციელდება იმ პრინციპით რომ მის ფურცლებზე არ უნდა იზღუდებოდეს როგორც რომელიმე პიროვნების, ასევე პიროვნებათა ჯგუფის თუ სხვა გაერთიანებების შეხედულებები პოლიტიკური მოსაზრებანი და სხვა.

სწორედ ამ პრინციპს ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის კანონ-პროექტი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. სადაც ნათქვამია, პოლიტიკური გაერთიანება თავისი ლეგალიზაციის დღიდან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად იძენს უფლებებს:

ა) წერილობით, სიტყვიერად ან სხვა სახით შეუფერხებლად გაავრცელოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, პროპაგანდა გაუწიოს თავის საპროგრამო იდეებსა და მიზნებს; გააკრიტიკოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობა.

ბ) ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველოში არსებული სახელმწიფო და სხვა ინფორმაციის საშუალებანი მიწოდებულნი არიან განახორციელონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით სარგებლობის დემოკრატიული პრინციპი და შეუფერხებლად მიაწოდონ მკითხველს როგორც მთავრობის ოფიციალური საქმიანობის ამსახველი, ასევე ოპოზიციური ორგანიზაციების შეხედულებანი, ცხადია, თუ ისინი არ შეიცავენ ომის პროპაგანდას, არსებული ხელისუფლების ძალადობით დამხობის, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიწოდებას და სხვა.

შემოსული წერილებისადმი, მხოლოდ ობიექტური მიდგომით შეძლებს პრესა თავისი დანიშნულების გამართლებას, იმას რასაც ერისა და სამშობლოს სამსახური ჰქვია.

ამ პრინციპით ეცდება ხელმძღვანელოს გაზეთი „ოდიშიც", შეიძლება ავტორისა და რედაქციის აზრი არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ ამაში გაზეთს ნუ დავადანაშაულებთ გამოქვეყნებული წერილების ობიექტური განსჯა თვით მკითხველისთვის მიგვინდვია.

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ქალაქის მოსახლეობაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სესხის გაცემა იწარმოებს მიმდინარე წლის 5 სექტემბრიდან, აღნიშნული სესხი ხარისხიანად და სრულყოფილად გაფორმების მიზნით ყოველდღიურად გაფორმდება 25 მოქალაქეს.

ქ. ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე ზ. კიტია

## ზუგდიდის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის წევრთა საყურადღებოდ!

1991 წლის 16 აგვისტოს, 11 საათზე დანიშნულია ზუგდიდის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. კომისიის ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

გთხოვთ, პარტიების ადგილობრივ ხელმძღვანელებს უზრუნველყონ ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში მათი წარმომადგენლების დასწრება.

ზუგდიდის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
მ. ჯგუშია

სიტყვა ოპოზიციას

# სინამდვილეს ფარდა ეხდება ანუ საით წავსულვართ

ეგრეთწოდებული ეროვნული მთავრობის შექმნით კრემლმა ხელიდან გამოგვაცალა საერთაშორისო სამართლებრივად ბრძოლის სწორი მეთოდი, რაც შემდეგში მდგომარეობს. ვართ ფაქტიურად დაპყრობილი ქვეყანა, გვყავდა თავსმოხვეული, უკანონო მთავრობა (კანონიერი ემიგრაციაში გაიქცა), აქედან გამომდინარე კანონზომიერია ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის ცნოს საერთაშორისო სამართალმა და მსოფლიოს დემოკრატიულმა ძალებმა, რაც მათი მხარდაჭერით უნდა გამოიხატოს.

ახლა კი რა გამოდის, ჩვენ უკვე გვყავს ეროვნული, ხალხის არჩეული მთავრობა, რომელმაც თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, სინამდვილეში კი ფაქტიური დამოუკიდებლობისაგან ისევე შორს ვართ, როგორც ვიყავით 1921 წლიდან, თუმცა კონსტიტუციაში სუვერენული რესპუბლიკა ჩავწერეს.

ჩვენ კი დავივიწყეთ, რომ დაპყრობილ ქვეყანაში შეუძლებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რადგან იმპერიის არც ერთ ნაწილში არ შეიძლება ხალხი ტერორისგან თავისუფალი იყოს. არა აქვს ამას მნიშვნელობა, რომელი პარტიის სახელით ხორციელდება იგი. ტერორი ძალზე აშკარად გამომჟღავნდა სწორედ არჩევნების პერიოდში, როგორც საპარლამენტო, ახლა პრეზიდენტის არჩევნებისას, როცა დაუსაბუთებელი ბრალდებების კორიანტელი ატყდებოდა თავს „მრგვალი მაგიდის" მოპირისპირე კანდიდატებს, ხოლო სამართალი, როგორც ყოველთვის, დუმდა.

გვმართებს ვეძებოთ პასუხი ამაზეც, თუ რისთვის დასჭირდა კრემლს კონსტიტუციიდან მე-6 მუხლის ამოღება. თქმა იმისა, რომ კრემლი დემოკრატიულ გზას ადგას, გულუბრყვილობაა. განა შეიძლება 9 აპრილისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსება?

ამ მუხლის შეცვლა რომ ჩვენთვის სასიკეთოდ არ ხდებოდა, ცხადი იყო, მაგრამ მისი კონკრეტული მიზანი ჩვენთვის მაშინ გამოცანად დარჩა. კიდეც დაგვიჯდა წინ ჩვენი დოყლაპიობა. ახლა ნათელია, რომ ეს მუხლი, როგორც ანტიდემოკრატიული, ხელს შეუშლიდა ახალი საკავშირო ხელშეკრულების განხორციელებას, რადგან ახალი ხელშეკრულება რესპუბლიკის კანონიერმა მთავრობებმა უნდა განახორციელონ. სხვაგვარად ხომ მას დემოკრატიულს, ნებაყოფლობითს ვერ დაარქმევენ. იმ რესპუბლიკებში კი, სადაც ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მნიშვნელოვანი აქციები მიმდინარეობდა (ამ აქციების ჩატარებას გარკვეულ ზღვრამდე კრემლი უშვებდა დასავლეთის თვალში დემოკრატიულობის თამაშის გამო), ხალხი უკვე აღარ ენდობოდა კომუნისტურ მმართველობას. აი, რისთვის დასჭირდათ ხალხის მიერ არჩეული ეროვნული მთავრობა.

აი, როგორ ხორციელდება კრემლის დაგეგმილი გეგმები. აქედან კი ჩანს, რამდენად ხუთმაგ, ათმაგ თამაშს ეწევა იმპერია თავისი მოდერნიზაციის პერიოდში და რომ „ლავირების", „ფიგურული სრიალის" პოლიტიკით მასთან დიდი არაფერი გაგვივა.

როგორც ვხედავთ, თვითონ მოვიტყუეთ თავი, როცა დავივიწყეთ ის აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომ დაპყრობილ ქვეყანაში დემოკრატიის განხორციელება შეუძლებელია; რომ ეროვნული ბრძოლის მოქცევა საბჭოთა იმპერიულ სტრუქტურებში აბსურდია. ამან კი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების თვალში ეჭვქვეშ დააყენა ჩვენი მისწრაფება ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ.

საერთაშორისო სამართლისკენ გზის დახშობით მოსკოვმა მეხამედ დაგვიპყრო, უსისხლოდ. აი, როგორ ააცილა ერის უმრავლესობის ყურადღება იმპერიასთან ბრძოლის სწორ გზას და იგი „მრგვალი მაგიდის" ოფიციალური მონაცემებით მოსახლეობის ათიოდე პროცენტის პოზიციას თუ შეადგენს. აი, რისთვის სჭირდებოდათ პრეზიდენტისთვის 90 პროცენტით არჩევა, თითქოს 51 პროცენტით გამსახურდიას ნაკლები უფლებამოსილება ექნებოდა ბუშთან შეხვედრისას.

კრემლმა თავის ჩანაფიქრს შესაშინებლად შეასხა ხორცი და ახლა დიდს არაფერს ნიშნავს, დღეს მოაწერს ხელს „ეროვნული მთავრობა" ახალ ხელშეკრულებას თუ ეს პროცესი საკმაო ხნით გაჭიანურდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ნიადაგი ამისათვის წარმატებით მზადდება, რასაც ხელს უწყობს თვით პრეზიდენტის ხშირი განცხადებებიც, რომ ჩვენ სოციალიზმის „ჭაობის ნაწყისებს" ვერ დავთმობთ, რომ რადგან დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ვეღარ მოვთხოვთ რუსეთს, რასაც ადრე ვთხოულობდით და სხვ. ამნაირი განცხადებები ხალხში სოციალური უკმაყოფილების ზრდას იწვევს, უბიძგებს მათ იქითკენ, რომ თვითონ განაცხადონ, არ შეგვიძლია უშაქროდ, უპუროდ. მოვაწეროთ ხელი ხელშეკრულებას.

აი, როგორ გეგმაზომიერად, შეუცდომლად მუშაობს იმპერიის ზურგი კგბ (სუკი), რომელსაც ჩვენმა მთავრობამ რატომღაც ეროვნული უწოდა, თუმცა მისი ფუნქცია და შემადგენლობა დღემდე უცვლელია.

ოპოზიცია ცდილობდა სიმართლე ხალხამდე მიეტანა, მაგრამ ამას მოჰყვა რეპრესიები და კანონების გამკაცრება.

ახლა, საბედნიეროდ, ხალხი იღვიძებს, უხიზლდება იმ ფსიქოზის მდგომარეობიდან, რომელშიც მრგვალი მაგიდის პროპაგანდამ ჩააგდო. უხიზლდება, მაგრამ მარტო სოციალურმა უსამართლობამ, მარტო უკარაქობამ და უპურობამ, მარტო კუჭმა კი არ უნდა გამოგვაღვიძოს, არამედ უფრო გამეფებულმა უზნეობამ, გამეფებულმა უმეცრებამ, განუკითხაობამ უნდა შეგვძრას.

გამოსავალი ერთია. უნდა ვიბრძოლოთ არა პროექტის პირობებს (რადგან ერთი პროექტის მეორეთი შეცვლით არაფერი შეიცვლება), არამედ იმ სისტემას და იმ მიზეზს, რომელმაც დააკანონა პროექტის ინსტიტუტი, იმ მთავრობას უნდა მოვეხსნათ უფლებამოსილება, რომელიც ხალხის ნდობას ვერ ამართლებს. თითოეულ დეპუტატს უნდა მოეხსნას უფლებამოსილება, რათა მათ ხალხის სახელით ლაპარაკის, და ამდენად ხელშეკრულებაზე ხალხის სახელით ხელის მოწერის საშუალება არ მიეცეთ. კოლონიაში მხოლოდ მარიონეტული მთავრობა შეიძლება იყოს, უნდა აღუდგეთ მას ეს სახელი.

ამას თუ შევძლებთ (რაც მოცემულ ეტაპზე არც ისე იოლი საქმეა), მაშინ ქართველი ხალხი დაიბრუნებს საუკუნოვანი ბრძოლით, 9 აპრილამდე და 9 აპრილით მოპოვებულ ავტორიტეტს მსოფლიოს თვალში და კვლავ შევძლებთ ტაძრისკენ ერთადერთი სწორი გზით სვლას.

გამოღვიძებულ ხალხს წინ ვერაფერი დაუდგება, ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არის. ოღონდ ვერ უნდა შეძლონ სუკმა და კრემლის სხვა აგენტურამ ჩვენი რიგების შეთხელება მოსყიდვით, დაშინებით, სხვა ტერორისტული ხერხებით. უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ დიდი ილიას, ქაქუცას, მერაბ კოსტავას საქმეთა გამგრძელებლები, მივუტევოთ ერთმანეთს წარსული ცოდვები, ავღვივოთ ჭეშმარიტი პატრიოტიზმით და თავისუფლების გზაც გამოჩნდება.

შევძლებთ კი?

ქეთევან ტაბაღუა,
ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი.

**რედაქციისაგან:** 70 წლიანი ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობამ ისე დაამახინჯა, დააკნინა და დაჩიავა ადამიანი, რომ იგი გადაეჩვია თავისუფალ აზროვნებას. გაზეთში გამოქვეყნებულ ნებისმიერი პარტიის თუ პიროვნების მსოფლმხედველობას და ცალკეულ დებულებებს აღიქვამს, როგორც არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მიმართულ აქციას.

რედაქცია არ იზიარებს წერილის ავტორის მოსაზრებას, მაგრამ ხელმძღვანელობს რა თავისუფალი პრესის უფლებებით და ამასწინათ რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ რესპუბლიკის კანონპროექტის მეცხრე მუხლით, უცვლელად ბეჭდავს ამ პუბლიკაციას.

თუ რამდენად სწორია ავტორის პოზიცია, ეს თვითონ მკითხველმა განსაჯოს.

## „ბორჯი" და მისი ავტორი

1924 წელს „წითელი ურდოსგან" სამშობლოს განთავისუფლებისათვის უწმინდეს ბრძოლას მრავალი ათასი გულმხურვალე მამულიშვილის სიცოცხლე შეეწირა.

—მაგრამ ნათელ-ნაკმეველმა თავისი გზა არ დაჰკარგა: ისტორიული ჭეშმარიტების უძლეველმა მარჯვენამ შავი ფარდა გადახადა ბოროტი ძალების ჯოჯოხეთურ ნამოქმედარს და ბობოქარ მყობადს, გამოღვიძებულ ქართულ ცნობიერებას, თითოეულ ჩვენგანს დაუბრუნა რეპრესიის მსხვერპლთა ხატივით სალოცავი სახელები...

ოცდაოთხში წამებულ რაინდთაგან ერთ-ერთი იყო წალენჯიხის რაიონის მკვიდრი, ქართული (მეგრული) პოეზიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი დანიელ ფიფია. მისი ლექსი „ბორჯი" („დრო-ჟამი") ხალხური ფილოსოფიური ლირიკის შედევრია. „ბორჯი" ჩაიწერა და გამოაქვეყნა ჩვენმა სახელოვანმა ფოლკლორისტმა და მკვლევარმა ბატონმა კალისტრატე სამუშიამ (იხ. ქ. სამუშია, „ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები)", თბილისი, 1971 წ.).

„ბორჯის" ქ. სამუშიასეული თარგმანი უაღრესად მიახლოებულია დედანთან, ანუ წარმოადგენს სიტყვასიტყვით თარგმანს. ეს მეცნიერული თვალთახედვით ასეც უნდა იყოს, რაც შეეხება პოეტურ თარგმანს, უამისოდ მეგრულის უცოდინარი მკითხველი (სიტყვასიტყვით თარგმანის მიხედვით) ვერასოდეს ჩაწვდება ამ ლექსის მხატვრულ სიღრმეს, ფერთა გამას, კოლორიტს, ერთი სიტყვით — სრულად ვერ „დაიგემოვნებს" ლექსის მომხიბლაობას. არადა, ვინ არ იცის, რომ მეგრული ხალხური ლექსების თარგმნა დედნისეული სრულყოფილებით — ურთულესი საქმეა და ბევრწილად, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც.

და მაინც, გავკადნიერდი და ვცადე „ბორჯის" გადმოქართულება. სითამამისათვის მკითხველს ვთხოვ პატიებას.

### დრო (ბორჯი)

ავტორ-მთქმელი
დანიელ ფიფია

შენ გაბარია, დროო ყოველი:
წარსული, აწმყო და
მომავალი,
შენ ხარ მარადი, ყველგან
მყოფელი,
სად არ ჩანს შენი დინების
კვალი?
შენ უწყი ვინ და სადაა
მცდარი,
რომელმა ვის რა ამაგი დასდო
და მხოლოდ შენ ერთს,
მიწიდან ცამდინ
გახსოვს ის, რაიც არავის
ახსოვს:
გინახავს მზისგან მიწის
— მოწყვეტა
და დედამიწის პირველი
ბრუნი,
პირველი ღამის გასვლის
მოწმე ხარ,
ვით იქმნა ცისკრის ნათება
სრული...
შენ ზედმეტ პატივს არ სცემ
არავის,
გაქვს სამართალი მკაცრი
და სწორი,
ერთია შენში მუდამ მთავარი—
არვის უკარგავ ნაღვაწარს
შრომით....
..ძე ხორციელი მოჰყავს
თავისას
ქვასა და ხერგვალს ეხვრის
ავყია,
ზედითის ჭებით კეთილს
დახინლავს,—
ზოგჯერ აძაგებს მას, რაც
კარგია:
და ყველა ფიქრობს, მის მიერ
ქმნილი
სხვათა ნაქნარზე უკეთესია,—
დრო აღარ ჩქარობს, ის
სიტყვაძვირი
მიუმკის ყველას რაც უთესია.

მეგრულიდან თარგმნა
ჯემალ არქანიამ.

## მარტო ნატვრა რას გვიშველის?!

საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ქართველი ტურისტები აღფრთოვანებით საუბრობენ ნანახისა და განცდილის შესახებ. ეუცხოვებათ იქაური წესრიგი, იდეალური სისუფთავე, ყველაფრით უზრუნველყოფილი ქალაქები.

ამას წინათ მეგობარმა იმოგზაურა დასავლეთ გერმანიის რამდენიმე ქალაქში. მობრუნებულს კითხვების კორიანტელი დავაყარე. არაერთხელ მოსასმენი პასუხი მივიღე: წესრიგი, სისუფთავე, პუნქტუალობა, ათასგვარი კულტურული გასართობი და აქედან გამომდინარე მასპინძელთა ჯანსაღი ღიმილი.

სტუმარს რომ გაღიმებულს შეხვდეს, ეს ქართულ ბუნებას ოდითგანვე დაჰყვება. მაგრამ რაოდენ სასიხარულო იქნება ჩამოსული უცხოელი გულწრფელ ღიმილთან ერთად „ავსებულ" ქვეყანასაც იხილავდეს. მარტო ნატვრა რა გვიშველის?

მ. ბუცხრიკიძე,
პედაგოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ვესაუბრებით სოფელ ოქტომბრის საკრებულოს გამგებელს ბატონ ჯამბულ წოწერიას:

— ბატონი ჯამბული 41 წლისაა. პროფესიით ისტორიკოსი. სოფლის საკრებულოს გამგებლად არჩევამდე ამავე სოფლის საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. ეროვნულ მოძრაობაში 1989 წლის აპრილის წინა დღეებიდან მონაწილეობს. 9 აპრილსვე დატოვა პარტიის რიგები. ამჟამად არის ბლოკ „მრგვალი მაგიდა" თავისუფალი საქართველოს წევრი. ჰყავს მეუღლე და სამი ქალიშვილი.

# ადამიანებს სჭირდებათ რწმენა

—ბატონო ჯამბულ, უპირველესად მინდა მოგილოცოთ ხალხის უდიდესი თანადგომა — სოფლის საკრებულოს გამგებლად არჩევა, გისურვოთ პირადი ბედნიერება და თითოეული ქართველისათვის იმ სანუკვარი მიზნის მიღწევა, რომელსაც თავისუფალი დემოკრატიული საქართველო ჰქვია.

—გმადლობთ.

— ალბათ დამეთანხმებით, საქართველოში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურმა სიტუაციამ არა ერთი ღირსეული მამულიშვილი წარმოაჩინა, დაწყებული სოფლის საკრებულოების გამგებლებიდან, დამთავრებული უზენაესი საბჭოს რიგითი დეპუტატებით. ისინი, საბედნიეროდ, პოლიტიკურ პარტიებს მიღმაც მრავლად არიან — მათ შორის ერთ-ერთი თქვენც ბრძანდებით... ინტერესმოკლებული არ იქნებოდა მოკლედ იმ გზის შესახებ მოგვეთხროთ, რომელიც დღევანდელ დღემდე გამოიარეთ...

— დავამთავრე ოქტომბრის საშუალო სკოლა. 1970 წელს ჩავირიცხე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი იმავე სოფლის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. ერთხანს ვმუშაობდი პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად. შემდგომ ისევ სოფლის საშუალო სკოლას დავუბრუნდი. ვმუშაობდი დირექტორად, რამდენადაც შემეძლო შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებდი. 1989 წლის აპრილში გავედი პარტიის რიგებიდან. არჩევნებში მონაწილეობას ბლოკ „მრგვალი მაგიდა" თავისუფალი საქართველოს სახელით ვიღებდი. ბრძოლაში გამარჯვება ადვილი არ იყო, წინააღმდეგობებს ამჟამადაც ვაწყდებით. ეროვნულ მოძრაობაში ილიას იდეებით ვხელმძღვანელობდი. გამგებლობა ჩემთვის მოვალეობა და ნდობაა ერთად. მოვალეობა, მოგეხსენებათ, უფლება არ არის. ხალხისთვის რწმენის დაბრუნება ნიშნავს სულიერი ძალით, სწორი გზით სიარულს. ქართველობა ამ გზით მიდის და მე მჯერა ის თავისუფლებისკენ მიდის.

—უდავოა, პერიოდი, რომელსაც ახლა უძრაობის ხანას ვუწოდებთ, განსაკუთრებით მწვავედ სულიერ სფეროს დაეტყო ქალაქადაც და სოფლადაც... ბატონო ჯამბულ, თქვენ ჰუმანიტარი ბრძანდებით, ალბათ ჯერ კიდევ შეიძლება ამ საშვილიშვილო ცოდვის ამოსყიდვა და მაინც, კონკრეტულად თქვენი შეხედულება...

— გეთანხმებით, იმ პერიოდმა ორგვარი ზიანი მოგვაყენა, სულიერიც და მატერიალურიც. ჩრდილოვანმა ეკონომიკამ სულიერი დეფიციტი წარმოშვა. იმ დროის მიზანი იყო ეროვნული სულის ჩაკვლა: ჩვენ, ქართველებს მეამბოხის სული გვაქვს, რომელიც, საბედნიეროდ, ასევე შევინარჩუნეთ დღემდე. სულიერი ზიანი ყველა თაობას შეეხო. ხალხი დაიღალა დაპირებებით, რწმენის დაბრუნებაა საჭირო — სიკეთის რწმენის, მიძინებული ეროვნული სულის სიძლიერის რწმენის. ახლა, ამ ბოლო ჟამს რწმენა დაუბრუნდა ხალხს, საჭიროა ერთიანობა, თანადგომა. ახლა ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ ყოველგვარი უკუღმართობის მიზეზი და დროებით თავი შევიკავოთ შედეგების შეფასებისაგან. ეს გადაგვარჩენს.

— ჩემი თაობა, სულიერი აღორძინების ხანაში ცხოვრობს... თქვენ, პირიქით, რწმენის დათრგუნვით გამოწვეულ დაწოლას განიცდიდით. ახლა არა მარტო ძველი ეკლესიების რესტავრაციები, ახლის აღმშენებლობებიც მიმდინარეობს საქართველოს ქრისტიანულ მიწაზე. საინტერესოა ოქტომბერს ისტორიულად არ ჰქონია ეკლესია თუ ჟამთა ცვლამ გაანადგურა და კიდევ ხომ არ გაქვთ ჩაფიქრებული ამ კუთხით რაიმე...

— სწორად ბრძანეთ. რელიგიის მხრივ ათეული წლების მანძილზე განვიცდიდით დეფიციტს. ადამიანებს სჭირდებათ რწმენა — ღმერთის სახით. ხალხი ბრძენია და ის ქრისტიანული მოძღვრებანიც ზნეობის დაცვის სიბრძნეა, რაც შეეხება ჩვენს სოფელს, თარგამულის უბანში ყოფილა ეკლესია, რომელიც დაუნგრევიათ. ზალავერი ჯერ კიდევ შემორჩენილია. ზარები დაკარგულია. შემორჩენილია ეკლესიის ჯვარი, რომელიც ეკლესიის აშენებისთანავე დაგვიბრუნდება მუზეუმიდან, და ვგონებ, ეს სიმბოლურიც იქნება. უახლოეს მომავალში ვაპირებთ პროექტის შექმნას და მშენებლობის დაწყებას — ალბათ ორი წელიწადში მივაღწევთ ამ მიზანს და ეს ერთგვარი შემობრუნება იქნება მაღალზნეობრიობისაკენ.

— სხვა არა ერთ სიკეთესთან ერთად დღევანდელობამ იმ გაუკუღმართებულ დროს ქალაქებისთვის, სოფლებისთვის თუ ქუჩებისთვის უღირსად შერქმეული სახელწოდებების შეცვლის შესაძლებლობა მოგვცა. ოქტომბერს დღემდე არ შეხებია ეს სიკეთე... გვაინტერესებს მისი ისტორიული სახელწოდება და დაუბრუნდება იგი უახლოეს მომავალში სოფელს?

—ის ტერიტორია, რომელზეც ამჟამად მდებარეობს სოფელი, გაუვალი ტყე ყოფილა. მოსახლეობის ნაწილი სოფელ კახათიდან ჩამოსახლებული, ნაწილი ცაიშიდან. ამიტომაც მისთვის ცაიშურ-კახათი უწოდებიათ. სოფლის ამჟამინდელი სახელი კი — ისევ იმ ჟამთასვლის ნარი პერიოდის გავლენაა. მოსახლეობამ ეს საკითხი ჯერ კიდევ ორი წლის წინ დააყენა სოფლის ხელმძღვანელობის წინაშე. შეთანხმებას დღემდე ვერ მივაღწიეთ. სოფლის ისტორიიდან გამომდინარე ის ერთხანს ცნობილი ყოფილა დავითიანის უბნის სახელწოდებით — სოფლის ზემოაღნიშნული ეკლესიის სახელიდან გამომდინარე. ამ საკითხში ისტორიული მუზეუმიც ჩავრთეთ, დავაყენეთ პრეფექტურის წინაშეც. საბოლოო სიტყვა, ალბათ, მაინც მოსახლეობამ უნდა თქვას. ვფიქრობთ, ეროვნულ ნიადაგზე შერჩეული სახელის შერქმევას, რაც შეეხება ქუჩებს, მიმდინარეობს სახელწოდებებისა და აბრების შეცვლა. ვფიქრობთ, ერთ-ერთ ქუჩას ჩვენი თანასოფლელის, ცხინვალში დაღუპული ა. ქირიას სახელი ვუწოდოთ.

— საიდუმლოდ, ზოგადად, სოფელს არა ერთი პრობლემა აქვს... სატელეფონო კავშირი, გზები, სურსათით მომარაგება... და მაინც, რომელია უპირველესი...

— პრობლემები მრავალია. ვერც ეკონომიკურ და ვერც სოციალურ პრობლემებს ურთიერთნდობისა და რწმენის გარეშე ვერ გადავჭრით. გვაქვს უზენაესი მიზნები და მზად ვართ გავუძლოთ ნებისმიერ დაწოლას, თუ ის ხვალინდელ საქართველოს წაადგება.

— ბატონო ჯამბულ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სოფელ ოქტომბერში ეროვნული გვარდიის გარკვეული ნაწილი იმყოფება. სოფლის ხელმძღვანელობასთან ერთად არსებობს გარკვეული კავშირები...

— ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირები გვაქვს. ჯერ კიდევ სკოლის დირექტორად მუშაობისას მათ ფონდში 1000 მანეთი ჩავრიცხეთ. შეძლებისდაგვარად დღესაც ვეხმარებით. ხშირად ვაკითხავთ. ეროვნული გვარდია ყველა ქართველის სიამაყე და მისი რიგითი წევრი ქართველი ხალხის სარკე უნდა იყოს.

—რაიონის პრეფექტურასთან უკვე შექმნილია კომისიები ცალკეული სფეროების მიხედვით. ვრცელდება თუ არა იგი სოფლის საკრებულოზე და კონკრეტულად რა კომისიები იფუნქციონირებენ?

— კომისიები შექმნილია, კერძოდ: სარევიზიო-საფინანსო, კულტურის, განათლებისა და ჯანდაცვის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ეკოლოგიის, თითოეულ მათგანში ხუთ-ხუთი კაცია გაერთიანებული და შესაბამისად სწავლობენ იმ პრობლემებს, რომლებიც გვაჩნია.

— სოფლის ცენტრში დანგრეული ნაძეგლარი წვდება უცხო თვალს... ხომ არ თვლით საჭიროდ რაიმე სიმბოლური ძეგლის აშენებას?

— ძეგლების მომხრე არასოდეს ვყოფილვარ. ძეგლი ხალხის გულში სიყვარულისა და პატივისცემის დამკვიდრებაა. სოფლის ცენტრს, ვგონებ „დედაენის" ან ისეთი კორიფეების ძეგლი დაამშვენებდა, როგორიც დაეით აღმაშენებელი იყო...

— და, ბოლოს ბატონო ჯამბულ, როგორც რიგითი ქართველი, როგორ ფიქრობთ რა მიგვიყვანს იმ თეთრ ტაძრამდე?

— მხოლოდ ურთიერთთანადგომა. პრინციპული ბრძოლა, ერთიანობა და მხოლოდ ერთიანობა. უკანდასახევი გზა არ არსებობს. მე კი ჭეშმარიტად, როგორც რიგითი ქართველი, ბედნიერი ვიქნები, თუ საბოლოოდ თავისუფალ-დემოკრატიულ საქართველოს მოვესწრები.

ესაუბრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

მაია ქვარაცხელია.

შრომის ვეტერანმა თომა ფაცაციამ რედაქციაში წერილი მოიტანა, რომლის დაბეჭდვაც ითხოვა უცვლელად. ვუსრულებთ მას თხოვნას, წერილში გამოთქმული აზრის განსჯა კი მკითხველისთვის მიგვინდვია:

# არ მსურს ასეთი პარტიის წევრი ვიყო

ერთი წლის ვყოფილვარ, საქართველო რომ გასაბჭოებულა. რაც ცნობიერება მომეცა ერთხელ არ მსმენია კომუნისტური პარტიის მიმართ სერიოზული კრიტიკა ან საყვედურები.

სიმწიფის ატესტატის აღებაც ვერ მოვასწარი, რომ მიწია სამხედრო-სავალდებულო სამსახურმა, რაც დაემთხვა გერმანიის ფაშიზმის თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, რომელიც ჩემს სამშობლოდ მიმაჩნდა. მის დასაცავად არ დავზოგე საკუთარი სხეულის ნაწილიც.

ვინაიდან ჩემში დიდი იყო პატრიოტიზმის გრძნობა, ხოლო პარტია იწოდებოდა „ადამიანის ღირსებად და სინდისად", სწორედ ამან მიბიძგა მიმეღო გადაწყვეტილება პარტიის რიგებში შესვლისა, და ერთ-ერთი ჭაბრძოლების პირნათლად შესრულების შემდეგ ვითხოვე სამხედრო ნაწილში არსებულ პარტორგანიზაციაში კანდიდატად მიღება, რაც შემსრულდა საზეიმოდ.

ომიდან 1944 წელს დავბრუნდი. ალთქმა მქონდა დადებული, რომ თუ ბრძოლას ცოცხალი გადავურჩებოდი, აღმშენებლობის ყველაზე ძნელ უბანზე მემუშავა, ასე გამოვდგომოდი ქვეყანას, დავიწყე მუშაობა საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმაში, შემდგომ მეცხოველეობის ფერმის გამგედ, ხოლო ამ პერიოდში დაუსწრებლად მივიღე ზოოტექნიკური განათლება, უკანასკნელი 25 წლის მანძილზე დარგის მთავარ ზოოტექნიკოსად ვმუშაობდი. ამ ხნის განმავლობაში (თამამად შემიძლია ვთქვა და ამას დამიდასტურებენ ჩემი სოფლის მშრომელები, თანამოსაქმეები) უანგაროდ, ვემსახურე ამ მძიმე, მაგრამ მეტად საპატიო საქმეს.

მინდა ჩემი გულისტკივილი მოგახსენოთ, სამი კაცი რომ ერთად შეიყრება, პოლიტიკაზე საუბარი მოდაშია და ხშირად გაიგონებთ ასეთ სიტყვებს, „კომუნისტებმა ქვეყანა გაატყავეს, სიძვირე ამიტომაა, რა ქნას ახლანდელმა მთავრობამ, ასეთი მემკვიდრეობა მიიღო". იმას ვერ ვიტყვი, რომ უკანასკნელ წლებში პარტიაში კორუფციას ადგილი არ ჰქონდა — მეთქი, მაგრამ რა დააშავეს ისეთმა კომუნისტებმა, როგორიც მე ვარ, ფერმაში წესრიგი რომ მქონოდა; ხშირად იქვე მეძინა და ოჯახი არ მახსოვდა? ეს დოვლათი ხომ მაშინ ყველა ჩვენგანს სჭირდებოდა. რატომ ახე უხეშად ერთ ქვაბში გვყრიან და ყველასთვის ერთი განაჩენი გამოაქვთ?

მე უკან მოხედვისა არ მეშინია, არც იმის თქმის, რომ დღემდე კომუნისტი ვიყავი, დღეიდან კი ვტოვებ იმ პარტიას, რომელსაც თურმე არასოდეს ღირსეული, ხამართლიანი პატრონი არ ჰყოლია და ალბათ არც ღირსეული მემკვიდრე ეყოლება.

ჩემი სიცოცხლის დარჩენილ წლებში (უკვე 68 წლის ვარ) გადაწყვეტილი მაქვს არ გავხდე არც ერთი პარტიის წევრი, არ ვენდო არც ერთ მათგანს, რადგან მეორე 70 წელს ხომ ვერ ვიცოცხლებ, ვენდო მხოლოდ ადამიანებს, რომელთა გულწრფელობაში მათი საქმეები დამარწმუნებს.

თომა ფაცაცია,

ომისა და შრომის ვეტერანი.

საინტერესო ამბების სამყაროში

# რა რაოდენობის წყალია პლანეტაზე?

ათი ბალტიის ზღვის ოდენა წყლის დამატებითი მარაგი აღმოაჩინეს სანკტპეტერბურგელმა ჰიდროლოგებმა... ღრუბლებში. მეცნიერებმა ხელახლა გამოიანგარიშეს გლობალური ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად მოდის დედამიწაზე წვიმის, თოვლის, სეტყვის და სხვა სახით, და იგი 550 ათას კუბურ კილომეტრად შეაფასეს. ეს მესამედით და უფრო მეტად აღემატება წინანდელ მონაცემებს.

წყლის საერთო მარაგი ახლა განისაზღვრება მილიარდ 386 მილიონ კუბური კილომეტრით, რომლის 96 პროცენტზე მეტი თავმოყრილია ოკეანეებში, ეს ციფრი 32 მილიონი კუბური კილომეტრით ნაკლებია წინანდელ მონაცემებთან შედარებით.

# ფიქრები ვაჟაზე

## (დაბადებიდან 130 წლისთავის გამო)

„მე რო ტირილი მეწადოს,
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა?
ერთი იცინის, სხვა სტირის:
ესეთი არის ქვეყანა.
ვისაც არ მოგწონსთ ტირილი,
ის ნუ დასჯდებით ჩემთანა:
მტირალის სტვირის პატრონი
ფეხს როგორ გავსწვდი
თქვენთანა?
მაგრამ ჭავიგებთ ერთხელაც,
ვინ ახლო ვსდგევართ
ღმერთთანა".

...დარდი საგზლად დაჰყვებოდა ვაჟას. ის მართლაც რომ ახლოს სდგას ღმერთთან...

შამბნარი. შვლის ნუკრის ობოლი ნაფეხურები, ხმელი წიფელი, ველზე ობლად ამოსული ლურჯთვალება ია, მორაკრაკე მთის წყარო, მიუწვდომელი ჰიუხების ბატონ-პატრონი არწივი, მდუმარებით მოცული მთები... საოცარი ჰარმონია და სილამაზე...

უსაზღვროა ჩემი სი:ვ რული ვაჟას შემოქმედებისადმი, რადგანაც უსაზღვროა და დაუშრეტელი თვით ვაჟას განუმეორებელი შემოქმედება... ვუცქერი ბუმბერაზ მთებს — ისინი დუმან, თითქოს მებუტებიან...

ისევ უხმოდ დგანან მთები, საყვედურით გადმოსცქერიან ბარს: — „რად დაგვიკარგეთ ვაჟა"... დგანან და ელიან... „უსაზღვროა მთების მოლოდინი".

სადღაც შორს საზარელი ხმაურობაა... ეს ზვიადაური შეუქრავთ ქისტებს..., ოჯახის შეურაცხყოფისათვის ჯოყოლა ძმებს განდგომია: „დღეს სტუმარია ის ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა", — დასძახის ის რჯულის დამვიწყეთ.

ბუმბერაზ მთებიდან კი ისევ ისმის ვაჟას მოწოდება: „ადამიანებო! გიყვარდეთ ერთმანეთი!"

...ტყე კი ტიროდა, ლამაზ ქორბუდას, ბორჯას ტიროდა: „ვაჰმე, ჩემო საწყალოვანო შვილო, ბორჯავ, როდისღა ალვზარდო შენისთანა შვილი, რქითა და ტანით დამშვენებული. შენით ვამაყობდი და დღეის შემდეგ ვისითღა ვიამაყო?".

...მთაწმინდა. მთიდან ჩამონაქროლ ნიავს დედაბუნების სურნელი დაჰკრავს... რჩეულ ქართველთა ლანდები მიმაცილებენ. ვაჟას საფლავი... სევდისფერი ლოდი, ლამაზი, განუმეორებელი სიჩუმე, ზღვა ყვავილები... შორეული ხმა რაღაცას ამომძახის, ვაყურადებ, — მთები მომიკითხეო, ჩემი საყვარელი მთები, არ მასვენებსო მათი სიყვარული, მტკივაო უნახაობა... ცრემლები მაწვება.

...მთაწმინდიდან გადმომდგარა მთის არწივი. — „ადამიანებო! გიყვარდეთ ერთმანეთი!!!" — მესმის.

სანთლები კი ტირიან, ცრემლად იღვრებიან...

წვიმს...

**მაია ღუგელაძე,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

# როდემდე ვითმინოთ?

კარგა ხანია ზარათაშვილის ქუჩის მცხოვრებლები მოთმინებით ველოდებით ახალი პრესის გამოჩენას, მაგრამ ტყუილუბრალოდ. სამწუხაროდ ჟურნალ-გაზეთების დროული მიღება სანატრელი გაგვიხდა, უფრო მეტიც, ხანდახან ვეჭვობთ, რატომ შეგვიწყვიტეს მათი მოწოდება.

„დატვირთული" ფოსტალიონის გამოჩენა ზეიმის ტოლფასი გამხდარა ჩვენთვის. მოვა, დატოვებს რამდენიმე ძველ მოძველებულ ნომერს და მერე ისევ უნდა ველოდოთ როდის გაგვიღიმებს ბედი. გაზეთი მაშინ არის საინტერესო, როცა ის ცინცხალ ამბებს გატყობინებს, ძველი რად გვინდა? გაგვარკვიეთ, რატომ გვიგვიანებენ. აბუჩად და როდემდე გაგრძელდება ასე.

**მარო ნაჭყებია,**
პერსონალური პენსიონერი.

შემთხვევა

# მხოლოდ ერთი საათით

7 აგვისტოს, 14 საათსა და 30 წუთზე ქალაქ ზუგდიდის პურკომბინატის საქვაბე განყოფილებას ცეცხლი გაუჩნდა. ხანძარი უმალვე მოედო შენობის რბილ გადახურვას, მაგრამ შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადებულმა მეხანძრეებმა იმარჯვეს.

პურკომბინატის მთელი კოლექტივი მადლობას უხდის უველა იმათ, ვისი მეოხეობითაც ხანძარი დროულად იქნა ჩაქრობილი, კერძოდ: გარნიზონის უფროსს ნ. სვირავას, ნაწილის უფროსის მოადგილეს ვ. ბებიას, რაზმის უფროსის მოადგილეს თ. დგებუაძეს, ოპერატიულ მორიგეს მ. უბილავას, მეხანძრეებს ვ. ტაბაღუას, ბ. კვარაცხელიას, თ. ჭანტურიას და მრავალ სხვას.

ქარხნის მუშაობა მხოლოდ ერთი საათით შეჩერდა. ქალაქის მოსახლეობის პურით მომარაგებაში შეფერხება არ ჰქონია.

**ლ. გეჭბაია,**
პურკომბინატის დირექტორი.

**რედაქტორი**
**აკ. ჭანტურია.**

# სად გაქრა ასანთი?

მწვავე დეფიციტის პირობებში რომ ვცხოვრობთ ეს ყველასათვის ცხადია. გასაგებია ისიც, თუ რატომ არ იშოვება შაქარი, კარაქი და სხვა „დელიკატესი", მაგრამ ასანთსაც მაინც რა ღმერთი გაუწყრა, მაღაზიებში სანთლითაც რომ ეძებო ვერსად წააწყდები! არა სულ როგორ არ იშოვება — „სიკოლმეურნეო" ბაზარში ახალი ჯურის კომერსანტები ანუ, მამა-პაპურად რომ ვთქვათ, გადამყიდველები მას მამასისხლად ჰყიდიან.

საინტერესოა, საიდან მოაქვთ ან ვინ ამარაგებს მათ ამ დეფიციტად ქცეული საქონლით? იქნებ ასანთის ფაბრიკებმა შეწყვიტეს მუშაობა? ხელოვნურად ხომ არ ქმნიან ასეთ მდგომარეობას? ამ კითხვაზე, ალბათ, იმ ორგანიზაციათა მესვეურები გაგვცემენ პასუხს, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ სავაჭრო ქსელში ასანთის შემოტანა.

**ბ. ალშიბაია,**
შრომის ვეტერანი.

**სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი**
**(კეცხოველის ქუჩა № 27)**
**15 აგვისტო, 1991 წელი**
**ფ ე ხ ბ უ რ თ ი**
**საქართველოს 1991-92 წ. ეროვნული ჩემპიონატი...**
**(უმაღლესი ჯგუფი პირველი ტური)**
**„ოდიში" ზუგდიდი — „მზიური" გალი**
**დასაწყისი 18 საათზე.**

**ომისა და შრომის ვეტერანთა ყურადღებოდ!**

გთხოვთ ზამთრის სეზონისათვის დროულად გაიტანოთ თქვენთვის საჭირო რაოდენობის სათბობი (ღუმელის საწვავი), რომლის გაცემას რაიკოოპკავშირი აწარმოებს ყოველდღე რეგიონების მიხედვით. ამით თავიდან ავიცილებთ ზამთრის არახელსაყრელი ამინდის პირობებში სათბობის მიღების შეფერხებებს და მასთან დაკავშირებულ უსიამოვნებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ზამთრის პერიოდში სათბობის მიუღებლობაზე პრეტენზიები არ იქნება მიღებული.

**რაიკოოპკავშირის გამგეობა.**
**რაიონის ვეტერანთა საბჭო.**

მამა უშანგი, მეუღლე ლუდა, შვილი კორნელი, დები: ლარისა და სვეტლანა. ძმები: ნოდარი, ლუდა, გოგი, გიორგი. რძლები: ნელი, ლინერი, ჯულიეტა, ნინო, დეიდები: ფენია, პისტი, ქორდიკო, შურა. ბიძები: ხიხუ, ფილიპე უბილავები. ბიცოლები: შურა, ჟუჟუნა, ძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**თამაზ უშანგის ძე შონიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 აგვისტოს, დაკრძალვა 15 აგვისტოს სოფელ ჭალეში (წალენჯიხის რაიონი).

დიდა ნაზია, შვილები: დარიკო, იური, ბუთხუზი, დები: მარგო, დოდო, ძმები: ანზორი ექონია, ჯამბულ კვარაცხელია, რძლები ევა, გოგო, ბელა, სიძეები ვალოდია ვერგუნოვი, იგორ ჯოლოხავა, კახა ჯალაღონია, შვილიშვილები ვერიკო, თამრიკო ექონიები, ქრისტინე, ლაშა ჯალაღონიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**რეზო ლევას ძე ექონიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 აგვისტოს, დაკრძალვა 17 აგვისტოს, სოფელ კახათში.

მეუღლე დალი, შვილები: ირაკლი, ჯონი, ჯანო, დედა მაყრა, მამა მიშიკო, ძმა ხუნტული, და სვეტა, რძლები: მზია ჯაკონია, მერი თოდუა, სიძეები: აბრამი ღურწკაია, ჯამბული თორდია, გონელი ქირია, ძმისშვილი დათა ქავთარაძე, დისშვილი თემური ღურწკაია, სიდედრი ვენერა, სიმამრი ალიოშა ჯალაღონიები, მამიდები: თალიკო, ნატო ქავთარაძეები, დეიდები: გრავაშა, თამრიკო კვარაცხელიები. ბიძები: ვაჟა ლომაია, ცუტუ, შალიკო, ამირანი, ბუხუტი კვარაცხელიები, შახი ბერაია, გივი კილასონია. ბიცოლები: გული, ბაბუცა, ბუცა, თამაშა და ნაზი. ცოლისდები: მზია, ნინო, ცოლისძმები: ვახტანგი, მალხაზ ჯალაღონიები, დეიდაშვილები მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან.

**ჯანიკო (მელენტი) მიშიკოს ძე ქავთარაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 აგვისტოს, დაკრძალვა 18 აგვისტოს, გამოსვენება 18 საათზე, ქ. ზუგდიდი 26 კომისრების ქ. № 31.

შვილები: ვალოდია, მარგო, ვერა. რძლები: თამარა, მაშო. სიძე კაკინო კაცია. შვილიშვილები ციალა ჯოჯუა, ბაბუში, პოლიკო, ვარდო გვილიები. ტუნტული, რევაზი თირქიები, იგორი, მოკოდია, ძაბული, ლამარა, ზაირა, დალი, ნათელა, ოთარი, როზა სოსო კაციები. ძმისშვილები: თამარა, ნათელა, ლუშა, გივი, გულადი, ბორისი, დუენა, კინტუშა გუგულია აკობიები. მაზლიშვილები, შვილთაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

**ჯაუ ძოკის ასულ აკობია-გვილიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 აგვისტოს. გამოსვენება 17 აგვისტოს. ქ. ზუგდიდი საბჭოს ქ. № 39, დასაფლავება სოფ. ყულიშკარში.

შვილები გიორგი, მანანა, ძმები ფილიპე, მამია, დები: კამე, ტატიანა, ბაბუცა, რძლები თეზიკო კალანდია, ანია, ნორა სიძე ავთო ანჩაბაძე, შვილიშვილები: თამრო, თეა, ლაშა, გიორგი თორიები, ნანა, მაია, ლევანი, ანჩაბაძეები, ძმისშვილები სარგისი, ჯონდი, მერაბი, ნანული, ემალი, ლამარა, ნატო, დალი, ზურაბი, ლუიზა, რუსიკო ცაიშვილები, დისშვილი უჩა ესვანჯია, მაზლიშვილები ინდიკო, ბონდო თორიები, მულიშვილი გივი ეხვაია და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ზინა მაქსიმეს ასული ცაიშვილი-თორიას**
გარდაცვალებას პანაშვიდი 14, 15, 16 აგვისტოს, დაკრძალვა 17 აგვისტოს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ლენინგრადის ქ. № 42-დან.

შვილები თამილა ღურწკაია, რევიკო, რამინი აფაქიძეები, ძმები იოსები, ავთანდილი ღურწკაიები, ძმისშვილები გონერი, შალვა ალექსანდრე, ჟანა, მარინა, მული ცუცა გაბრაია და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ სარდიონის ასულ ღურწკაია-აფაქიძე**
პანაშვიდი 15, 16 აგვისტოს, დაკრძალვა 17 აგვისტოს, 18 საათზე, გამოსვენება ზუგდიდი, ენგელსის ქ. № 30-დან.

მეუღლე კლარა, შვილები: გენო, გულნარა, და ლილი, ძმა ალიოშა წურწუმიები, რძლები: მარინა ესართია, ვენერა ახალაია, სიძე ტარიელ გორდულაია. შვილიშვილები: ნანა, მაკა, წურწუმიები, [illegible], ია გორდულაიები. ძმისშვილები: ოთარი, მამიდი, ჯუმბერი, ამირანი, თემური, მზევინარი, დარეჯანი, ასმათი, მარინა წურწუმიები. სიმამრი ისაკი, ცოლისძმები: მურმანი, თემური, ცოლისდები: ლორინცი, ლიანა, როზა დარასელიები. ქვისლები ჯანიკო კვარაცხელია, მურმანი ქირია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**გრიშა დიანოზის ძე წურწუმიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 აგვისტოს გამოსვენება 18 აგვისტოს ქ. ზუგდიდი, წერეთლის ქ. № 124-დან, 6-საათზე. დაკრძალვა ქაფათის სასაფლაოზე.

შვილები: ლუბური, შოთა, ეთერი ქობალიები, დები: დაფინა, ფუფული, ძმა იროდი ჩიქობავა, რძლები: ვალია, გოგონა, ნელი, სიძე შოთა მიმინოშვილი, შვილიშვილები: სვეტა, სოსო დარასელიები, ხვიჩა გოჩა, ლელა, ლილი ქობალიები, ძმისშვილები: რობერტი, მზია, მარუსია, თენგიზი ჩიქობავები, დისშვილები: ნაპო, თალიკო ხუფენიები, რეზო, ცისანა ბუკიები, ციური, მიმოზა, დალი, ჯემალი, სოსო კაკულიები ჯუმბერი, ბონდო, სოსო, გია ჩახაიები, მაზლიშვილები: მარგო, გული მაქაცარიები, შვილთაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**ლივდია (შურა) მარკოზის ასულ ჩიქობავა-ქობალიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 აგვისტოს. დაკრძალვა 17 აგვისტოს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება გაგარინის ქუჩა № 84-დან 18 საათზე.

მეუღლე ზინა, შვილი დოდო, შვილიშვილი გურიკა, და მოკონა, ძმები ვალიკო, ხუტა, ალუა, მამია, რძლები: ქეთო, ნანი, შურა, დინარა, ცოლისდები: თინა, მარო, ნათელა, სიძეები: გიორგი კონჯარია, ჯუმბერი გვანცელაძე, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გუძუბა ისაკის ძე მესხიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 აგვისტოს, დაკრძალვა 17 აგვისტოს ქ. ზუგდიდი, გამოსვენება ჯიქიას ქ. № 1-დან.

ძმისშვილი ეკა შონია, სიძე ლევანი ქირია ოჯახით იუწყებიან.

**თამაზ უშას ძე შონიას**
გარდაცვალებას.

განმუხურის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**ლალი შოთას ასულ ჯიქიას**
გარდაცვალებას.

განმუხურის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**მერი (ხუხუტი) სოლომონის ასულ ჯგირენაია-ანჩაბაძის**
გარდაცვალებას.

რძალი ბაბუცა ლაშხია, შვილიშვილები ქეთინო, ტატო ძაპკაშვილები, სიძე დათო ტორუა იუწყებიან

**ოლგა ნოჩოს ასული ბუკია-ძაპკაშვილის**
გარდაცვალებას.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 8000 — შეკ. № 8300